ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №105

2 აპრილი 2014 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით
საჯარო აუქციონის ფორმით გაცემის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 11 დეკემბრის №64 განკარგულებისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №32 დადგენილებით დამტკიცებული ,,ჩოხატაურის თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის” პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოტანილი იქნას საჯარო აუქციონზე, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გაცემის მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დ.ჩოხატაურში დუმბაძის ქ. №69–ში მდებარე შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.048) პირველ სართულზე არსებული 14.60 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი პირველი სართულის გეგმის მიხედვით.
2. სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის ფორმად განისაზღვროს იჯარა.

3. სარგებლობის უფლებით გასაცემი 14.60 კვ.მ. არსასცხოვრებელი ფართის წლიური საიჯარო ქირის, ,,ბე“–ს, ,,ბიჯისა“ და აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის ოდენობა დადგინდეს დანართი 1–ს შესაბამისად.
4. სასყიდლიანი სარგებლობის უფლების ვადად განისაზღვროს 2 წელი.
5. დამტკიცდეს აუქციონის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი 2–ს შესაბამისად.
6. აუქციონის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნას ვებგვერდზე www.eauction.ge და ადგილობრივ პრესაში.
7. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსს (ზურაბ ჩანტლაძე) სააუქციონე ინფორმაციის გამოცხადების მომსახურების საფასურის ანაზღაურება.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. №4.
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*

№	ობიექტის დასახელება და მისამართი	საწყისი წლიური საიჯარო ქირა (ლარი)	„ბე" (ლარი)	„ბიჯი" (ლარი) 10%	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი
1	დ. ჩოხატაურში დუმბაძის ქ. №69–ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 14.60 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი	200	60	20	20	28.01.22.048

დანართი 2

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე

№	**ობიექტის დასახელება და მისამართი**	**საწყისი წლიური საიჯარო ქირა (ლარი)**	**,,ბე" (ლარი)**	**,,ბიჯი" (ლარი) 10%**	**მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)**	**მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი**
1	დ. ჩოხატაურში დუმბაძის ქ. №69–ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 14.60 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი	200	60	20	20	28.01.22.048

სარგებლობის უფლებით ვადაა 2 წელი;

პირობები:

1. აუქციონის კრიტერიუმია მაქსიმალური საიჯარო ქირის შემოთავაზება;
2. საიჯარო ქირის გადახდა არაუგვიანეს ყოველი თვის 25 რიცხვისა;
3. კომუნალური ხარჯების გადახდა;
4. იჯარით აღებული ქონების მოვლა–პატრონობა და ხამძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს 2014 წლის 7 აპრილიდან 2014 წლის 22 აპრილის ჩათვლით, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 17 საათამდე (აუქციონის ჩატარების დღეს 10:00 საათიდან 13.00 საათამდე) აუქციონი ჩატარდება 2014 წლის 22 აპრილს 15.00 საათზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. N-2).

აუქციონში მონაწილეობის მსურველი აუქციონის ორგანიზატორს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებულ განაცხადს;
2. ,,ბე'-ს და მონაწილის ბილეთის თანხის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტებს;
3. ფიზიკური პირები - პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, ხოლო იურიდიული პირები ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.
4. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური საწყისი წლიური საიჯარო ქირის შემოთავაზება.
6. აუქციონში დამარცხებულს ,,ბე” უკან უბრუნდება.

,,ბე” შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ სახაზინო კოდზე: 300653212;

აუქციონის მონაწილის ბილეთის თანხა შეტანილი უნდა იქნეს ანგარიშზე: 300653282;

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ საუქციონო კომისიას მისამართზე: დ. ჩოხატაური, წერეთლის ქ. N-2, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა ტელ: **577 953118; 577 957030; 577 957913.**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა